

ტესტის სახელწოდება

ანტისხეულები ციკლური ციტრულინირებული პეპტიდის მიმართ

ალტერნატიული სახელწოდება

ანტისხეულები CCP-ის მიმართ; ანტი-CCP ანტისხეულები

რას იკვლევს მოცემული ტესტი?

მოცემული ანალიზი სისხლში ანტი-CCP ანტისხეულების აღმოჩენას და მათი რაოდენობის განსაზღვრას ახდენს. ანტი-CCP ანტისხეულები გამოიწვევს იმუნური სისტემის მიერ და მიმართულია ციკლური ციტრულინირებული პეპტიდის (CCP) საწინააღმდეგოდ.

ციტრულინი ორგანიზმში ამინომჟავა არგინინის ბუნებრივი მეტაბოლიზმისას წარმოიქმნება. მაგრამ რევმატოიდული ართრიტისას, მისი წარმოქმნა დიდი რაოდენობით ხდება სახსრებში. ციტრულინი ცვლის ცილის სტრუქტურას და შეიძლება გამოიწვიოს ავტოიმუნური პასუხი, რის შედეგადაც სახსრის ცილების საწინააღმდეგო ანტისხეულების გამოიწვევა იწყება.

რისი დიაგნოსტიკისთვის ინიშნება?

ანტი-CCP ანტისხეულების ანალიზი კეთდება:

- რევმატოიდული ართრიტის დიაგნოსტიკისთვის და მისი დიფერენცირებისთვის სხვა ტიპის ართრიტებისგან;
- რევმატოიდული ართრიტის მქონე პაციენტებში, ამ დაავადების პროგნოზის შესაფასებლად.

ანტი-CCP ანტისხეულების ანალიზი ძირითადად რევმატოიდული ფაქტორის ანალიზთან ერთად ინიშნება.

აქამდე რევმატოიდული ართრიტის დიაგნოსტიკისთვის ერთ-ერთი მთავარი კვლევა რევმატოიდული ფაქტორის ანალიზი იყო, მაგრამ იგი არ გამოირჩევა მაღალი მგრძობელობით და სპეციფიკურობით - რევმატოიდული ფაქტორის ანალიზმა შეიძლება უარყოფითი შედეგი აჩვენოს რევმატოიდული ართრიტის მქონე პაციენტებში და პირიქით, შედეგი შეიძლება დადებითი იყოს იმ პირებში, ვისაც ეს დაავადება არ აღენიშნება.

კვლევებმა აჩვენა, რომ ანტი-CCP ანტისხეულების ანალიზს უფრო მაღალი მგრძობელობა და სპეციფიკურობა ახასიათებს. გარდა ამისა, ეს ანალიზი საშუალებას იძლევა უფრო ადრეულ ეტაპზე მოხდეს რევმატოიდული ართრიტის გამოვლენა (რევმატოიდული ართრიტის მქონე პირების 50-60%-ში ანტი-CCP ანტისხეულების აღმოჩენა დაავადების სიმპტომების დაწყებიდან 3-6 თვეში შეიძლება), რაც ძალიან მნიშვნელოვანია მკურნალობის დროული დაწყებისა და გართულებების თავიდან აცილებისთვის.

ანტი-CCP ანტისხეულების ანალიზი ასევე ინიშნება ისეთ შემთხვევებში, როდესაც პაციენტს ართრიტის ნიშნები აქვს, მაგრამ დაავადება ჯერ არ აკმაყოფილებს რევმატოიდული ართრიტის კრიტერიუმებს. კვლევებმა აჩვენა, რომ დადებითი ანტი-CCP ანტისხეულების ანალიზის შემთხვევაში, ასეთი პაციენტების 95%-ს მომავალში გამოავლინდება რევმატოიდული ართრიტი.

როგორ კეთდება ეს ტესტი?

ანალიზისთვის საჭიროა ვენიდან სისხლის აღება.

როგორ მოვემზადოთ ტესტისთვის?

ეს ანალიზი მომზადებას არ საჭიროებს.

შედეგების ინტერპრეტაცია

ანალიზის შედეგების ინტერპრეტაცია ექიმის მიერ უნდა მოხდეს. ართრიტის ნიშნების არსებობისას, თუკი ანტი-CCP ანტისხეულებისა და რევმატოიდული ფაქტორის ანალიზის შედეგები დადებითია, ძალიან მაღალია იმის ალბათობა, რომ პაციენტს რევმატოიდული ართრიტი ჰქონდეს. ასეთ შემთხვევაში, ასევე მოსალოდნელია დაავადების შედარებით სწრაფად პროგრესირება.

რევმატოიდული ართრიტის კლინიკური ნიშნების არსებობისას, თუ ანტი-CCP ანტისხეულების ანალიზის შედეგი დადებითია, რევმატოიდული ფაქტორის კი უარყოფითი, შესაძლოა პაციენტს რევმატოიდული ართრიტის ადრეული სტადია ჰქონდეს, ან მომავალში განუვითარდეთ ეს დაავადება.

როდესაც ანტი-CCP ანტისხეულების ანალიზის შედეგი უარყოფითია, რევმატოიდული ართრიტის კი დადებითი, კლინიკური ნიშნების საფუძველზე უნდა მოხდეს იმის განსაზღვრა პაციენტს რევმატოიდული ართრიტი აქვს თუ სხვა ანთებითი დაავადება.

როდესაც ანტი-CCP ანტისხეულებისა და რევმატოიდული ფაქტორის ანალიზის შედეგები უარყოფითია, ნაკლებად სავარაუდოა რევმატოიდული ართრიტის არსებობა, თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ რევმატოიდული ართრიტი კლინიკური დიაგნოზია და შესაბამისად, ამ დიაგნოზის დასმა ანტისხეულების არარსებობის ფონზეც შეიძლება მოხდეს.